ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ - საქართველოს კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმადაც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების სახეები:

მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება. ბიუჯეტი – 160.00 ლარი;

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დახმარება. ბიუჯეტი - 11.00 ლარი;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების და დაზარალებული პირების დახმარება. ბიუჯეტი - 21.00 ლარი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯი. ბიუჯეტი - 2.0 ლარი;

სოციალურად დაუცველი 0-დან 200 000-ის ცათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირების სტაციონარული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. ბიუჯეტი - 240.00

0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების (გულის თანდაყოლილი პათოლოგა, ეპილეფსიით, ლეიკემიით, ცერებრალური დამბლა და შშმ სტატუსის მქონე სხვა პირები) სტაციონარული სამედიცინო მკურნალობის ხარჯის თანადაფინანსება. ბიუჯეტი - 15.00 ლარი.

ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება. ბიუჯეტი - 54.00 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სტაციონარული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების დაფარვა. ბიუჯეტი - 59.00 ლარი;

მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება. ბიუჯეტი - 7.2 ლარი;

მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების თანადაფინანსება. ბიუჯეტი - 20.00 ლარი;

0-დან 18 წლამდე ასაკის პირების სტაციონარული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. ბიუჯეტი - 15. 00. ლარი;

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება. ბიუჯეტი - 4.8 ლარი;

მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისა და 0-დან 200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილე პირების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება. ბიუჯეტი - 15.0 ლარი;

სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა. ბიუჯეტი - 140.00 ლარი;

ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება. ბიუჯეტი - 30.00 ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფულადი დახმარება - 84.00 ლარი;

თირკმლის უკმარისობით დაავადებული, დიალეზზე მყოფი პირების ყოველთვიური დახმარება. ბიუჯეტი - 37.00 ლარი.

100 წელს მიღწეული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება. ბიუჯეტი - 1.5 ლარი;

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის მიზნით ფულადი დახმარება. ბიუჯეტი - 24.00 ლარი;

მექანიკური სავარძელ-ეტლის შესაძენად ფულადი დახმარება. ბიუჯეტი - 10.00 ლარი;

0-დან 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება. ბიუჯეტი - 4.8 ლარი;

0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კომუნალური გადასახადებისათვის დახმარება. ბიუჯეტი - 21.5 ლარი;

მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანების 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით და ზამთრის სეზონისათვის სათბობი შეშის შესაძენად დახმარება. ბიუჯეტი - 1.4 ლარი;

მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება. ბიუჯეტი - 4.5 ლარი;

ჰემოფილიით დაავადებულ პირთა დახმარება. ბიუჯეტი - 1.5 ლარი;

განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა ფინანსური დახმარება. ბიუჯეტი - 4.8 ლარი;

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა დახმარება. ბიუჯეტი - 3.00 ლარი;

ხელოვნური კვების პროდუქტების საჭიროების მქონე პირების დახმარება. ბიუჯეტი - 22.00 ლარი;

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. ბიუჯეტი - 20.00 ლარი;

მუნიციპალიტეტის მერი: დ. შარაშიძე